Marine Matcharashvili
Linguist, Information Analyst,
World Studies Specialist (Retired)

America Fast-Forwarding

(Abstract)

KEYWORDS: United States (USA), BC, New Century, Time

Whoever writes about the United States – whether through film, painting, or music – inevitably conveys an individual vision of America. My vision is of an America often marked by a pervasive sense of anxious anticipation.

A striking illustration of this anxiousness was the elaborate celebration on 1 January 2000 as the beginning of the twenty-first century, which CNN began broadcasting on the afternoon of 31 December 1999. This scheduling appears to be conceptually misplaced in several respects. By any straightforward mathematical or logical standard, the date signifying the new century would ordinarily be associated with 1 January 2001 rather than with 1 January 2000. In this sense, America's public commemoration seemed driven by an impatience with chronological sequence.

A similar pattern can be observed in the American practice of dating newspapers and magazines. Consider the perspective of a first-time visitor. One arrives the evening before and, the next day, consults the local print media for the latest developments. When picking up a weekly publication, the reader is confronted with a date ahead of the day in question. The discrepancy cannot be resolved by ordinary reasoning: the newspaper is not, in any meaningful sense, reporting from a future moment. Instead, the reader is led to recognise that the publication's dating convention performs more than a descriptive function. It effectively treats time as a flexible medium – subject to institutional arrangement rather than constrained by strict temporal correspondence. Therefore, the world witnesses an American "game with time", expressed both in public spectacle and in the everyday mechanics of print culture.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მარინე მაჭარაშვილი
მხარეთმცოდნე, ლინგვისტი, ინფორმაციის
ავტომატურად დამუშავების სპეციალისტი

სულსწრაფი ამერიკა

საკვანძო სიტყვები: აშშ, ძვ. წ., ახალი საუკუნე, დრო

ყველას თავისი ამერიკა[1] აქვს...

მეც მაქვს ჩემი ამერიკა.

ვინც კი რამე დაწერა ამერიკაზე, ან ფილმი გადაიღო, ან ფერწერით თუ მელოდიით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება, ყველამ თავისი ამერიკა გაგვაცნო – მკვიდრმაც და სტუმარმაც, ნიჭიერმაც და უნიჭომაც, ღირსეულმაც და უღირსმაც. ვინ რისი აქცენტირება ჩათვალა საჭიროდ და ვინ – რის... ობიექტურობის დონეც სხვადასხვა იყო, რადგან სტუმარი კი არა, იქ დაბადებულ-გაზრდილიც ვერასდროს დარჩება მიუკერძოებელი, ძალიანაც რომ ეცადოს.

მავანის შეფასებები, პიროვნული პარამეტრების გარდა, იმ ერის, ქვეყნის, კულტურის, დროის პრიზმაშიც გარდაიტეხება, რომლის პირმშოცაა. ამას გარდა, ნებისმიერი შთაბეჭდილება ან არის გატარებული მორალისა და კეთილგანწყობის ფილტრში, ან – არა. შესაბამისად, ან სარკისებურია, ან გამრუდებული. ოდესმე, (სამწუხაროდ) უჩემო მომავალში, იმედი მაქვს, რომ homo sapiens-ი[2] homo moralis-იც[3] გახდება და ყველაფერი ადეკვატურ და ღირსეულ ასახვას ჰპოვებს.

ჩემი ამერიკა სულსწრაფია...

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

არ მახსოვს ვინმეს ეს ეპითეტი გამოეყენებინოს შეერთებული შტატების უზარმაზარ, ძლიერ, განსხვავებულ და საინტერესო სუპერსახელმწიფოსთან მიმართებაში. ჩემთვის კი ასეა. „სულსწრაფობას“, ისევე, როგორც ყველაფერს, აქვს რაღაც იანუსისებრი: ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი... არსი... იდეა... მიზანი... ორივე ერთდროულად, ცხადია, სხვადასხვა პროპორციით.

ამერიკული სულსწრაფობის წარმოსაჩენად იდეალურია ჩემი ერთ-ერთი პირველი, ძლიერი შთაბეჭდილება – 2000 წლის 1 იანვრის ფანტასტიკური, შთამბეჭდავი ზეიმი,[4] რომელიც ტელეკომპანია სი-ენ-ენმა 1999 წლის 31 დეკემბრის საღამოს დაიწყო სპეციალური საინფორმაციო გამოშვებით.[5] ამერიკა, XXI საუკუნე და ქრისტესშობიდან III ათასწლეული, თითქმის, ერთდროულად გავიცანი. ზმნა „გავიცანი“ შეცდომით როდი წამომცდა. ამ სამზე განზრახ ვსაუბრობ, როგორც ცოცხალ არსებებზე, რადგან ვთვლი, რომ სტატიკურად, ერთწამიერ, ერთწრფივ და წერტილოვან ჭრილში შეუძლებელია დროის რომელიმე მონაკვეთის ანდა რომელიმე ეთნოსის, ერის, ქვეყნისა თუ სახელმწიფოს შეცნობა. ისინი ცოცხალი, დინამიური ქმნილებები არიან.

2000 წლის პირველ იანვარს ამერიკაში შევხვდი ახალ წელს. ამავდროულად, ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მობრძანების აღნიშვნა თავბრუდამხვევად ეფექტურად დამაძალეს. დავიბენი... ძალიან, ძალიან დავიბენი. ადამიანური და მათემატიკური ლოგიკით ხომ 1999 კი არა, 2000 წელია საუკუნისა და ათასწლეულის ბოლო წელი...[6] მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამერიკა სულსწრაფია:

ვერ ითმენს, ისე ეზეიმება...

ვერ ითმენს, ისე ეხალისება...

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვერ ითმენს, ისე სჭირდება საყოველთაო ბედნიერების გამძაფრებული შეგრძნება.

არასწორი თარიღით ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნა არ და ვერ იქნება უცოდინარობის შედეგი. მაშ, რაა?! გადაჭარბებული ოპტიმიზმის ტრანსფორმირებული გამოხატვა? ახლა და ამ წამსვე ბედნიერების შეგრძნების დაუძლევლად მძაფრი მოთხოვნილება? იქნებ, სითამამე – „მერე რას“ პრივალირება? ბავშვის ან ინფანტილური ზრდასრულის სიჯიუტით თავისის გატანა? ძლიერის – იმპერატორის, დიქტატორის სიჯიუტით სხვისი (თუნდაც, ობიექტური) აზრის იგნორირება და მაინც თავისის გატანა? თან დროის, როგორც საკრალური და ერთ-ერთი ყველაზე მოუხელთებელი ფენომენის გახედნის (ინტუიციური ან სულაც, მიზანდასახული) მცდელობა? თანაც, დროისთვის, უფრო კი, თანამედროვე კაცობრიობისთვის ლაგამის მორგება...

კაცმა რომ თქვას, ბებერ, მრავლისმნახველ კაცობრიობას არც ეს უკვირს – პროტესტი უნიათო იყო და, შესაბამისად, უშედეგო. პოლიტიკურ ჩათრევას დანარჩენებმა დიპლომატიური ჩაყოლა ამჯობინეს. ბებერ კაცობრიობას არა, მაგრამ მე, მოკვდავს მიკვირს... მიკვირს, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი – არაფერი ადამიანური არც ზესახელმწიფოსთვისაა უცხო და არც – სრულიად კაცობრიობისთვის... ჯერჯერობით მაინც.

ისევ დროის კონტექსტში – ჟურნალ-გაზეთების დათარიღების ამერიკული ვერსია მახსენდება. ვთქვათ, პირველად ხარ ამერიკაში. წინა ღამით ჩახვედი და მეორე დღეს, როგორც შენს სამშობლოში, აქაც გინდა, რამე ბეჭდური შეიძინო და ისე გაეცნო ახალ ამბებს. ვთქვათ, იყიდე რომელიმე ყოველკვირეული გამოცემა. მექანიკურად, სწრაფად აიღე შეძენილი ეგზემპლარი და გახევდი...

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კარგად იცი, რომ ლეთარგიული ძილი არ გქონია, მაგრამ მაშინ თავფურცელს მომავლის თარიღი რატომ აწერია?! ლოგიკა ვერა და ვერ მოგეხმარება გონზე მოსვლაში...

და ხვდები – აწმყო მოგვპარეს... შეგვიკვეცეს...

აწმყო და მომავალი აგვირიეს...

წაეშამანნენ მის უდიდებულესობა დროს.

უცოდინარობით?! დაუდევრობით?! თუ...

თუ!

საზღვრებსაც ხომ ვარღვევთ ერთმანეთთან, ბუნებასთან, კოსმოსთან და მერე შედეგებს ვიწვნევთ. ათასწლეულებია, რაც სულ შარშია კაცობრიობა. ინფანტილური სიჯიუტით განაგრძობს შეცდომების დაშვებას და ამით იმ ყველაფრის გაუფასურებას, რაც მართლაც დიდებულად ღირსეული შეუქმნია... და ამასთან შედარებითაც კი, გაუგონრად დიდი მკრეხელობაა დროის საზღვრის ხელყოფა. დრო ხომ უნივერსალურზე უნივერსალურია, მოუხელთებელზე მოუხელთებელი, შეუცნობზე შეუცნობი, საკრალური, თან ყველასი ერთად და თან – არავისი კონკრეტულად. არავის აქვს უფლება, სათავისოდ გახედნოს ის, რაც ყველასია, მით უფრო, რომ აბსოლუტურად შეუძლებელია შედეგ(ებ)ის განჭვრეტა...

ჩემი და ჩემი თანატოლების ბავშვობას ერთ-ერთ გაფრთხილება-რეფრენად მიჰყვებოდა ფრაზა – „ცეცხლთან თამაში სახიფათოა“. ზრდასრულობაში ეს გამონათქვამი ყველას ცნობიერებაში ალეგორიულ დატვირთვას იძენს. ცეცხლთან, პირდაპირი გაგებით, თამაში რომ სახიფათოა, ეს ისეთი ყოფითი, ისეთი თვალხილული, ისეთი რეალისტური მაგალითებით დასტურდება, რომ ამის განხილვა არც ღირს. უფრო რთულადაა საქმე ამ გამოთქმის ალეგორიულ გააზრებასთან – კაცობრიობას,

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სამწუხაროდ, მაზოხისტურად უყვარს „ცეცხლთან თამაში“...

XXI საუკუნეში კი მე და ჩემი თანამედროვენი „დროსთან თამაშს“ შევესწარით – ამერიკულად.

როცა რიგითი მავანი ამბობს „დრო გავფლანგე“, „დრო მოვკალი“, „დრო გამექცა“ – მაშინ მისი კონკრეტული დრო იგულისხმება და ეს მისი ანდა მისი გარემოცვის პრობლემაა.

როცა ოკულტისტი ცდილობს მავანის დროის „კორექტირებას“ მისი თხოვნით ან მის დაუკითხავადაც კი, ესეც კერძო შემთხვევაა მაინც... მაგრამ როდესაც ხდება დროის, როგორც აბსოლუტის შეგნებულად დეფორმირება, როგორც ახალი საუკუნის არასწორად ათვლის შემთხვევაში, ეს უკვე მისი უდიდებულესობის დროის გამოწვევაა.

თუმცა, ეს საკმაოდ ძველი „თამაშია“...[6] როდესაც ამერიკა მესამე ათასწლეულში სულსწრაფად მიექანებოდა გრიგორიანული კალენდრით 2000 წლის პირველ დილას, ისლამური ჟამთააღრიცხვით ჯერ მხოლოდ 1420, ინდურით კი – 1921 წელი იდგა მაშინ, როცა ჩინური კალენდრით – 4636 და იუდეურით – 5760 წელი დგებოდა.[7] ქართული ქორონიკონით კი...

სხვადასხვა კულტურებს დროის ათვლის განსხვავებული წერტილი და დასაბამის ორიგინალური გააზრება რომ აქვთ, გასაგები და მისაღებია. ჯერ ტრანსპორტის, სულ ახლახან კი, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით დედამიწა ადამიანისთვის უკვე ერთ ზესამშობლოდ გადაიქცა. ვფიქრობ, აუცილებელია, მის 8 მილიარდამდე მკვიდრს საერთო კალენდარი ჰქონდეს. თუმცა, ამერიკელების მიერ მეტრული სისტემის დაბლოკვის მსგავსად, გრიგორიანულ კალენდარსაც ყველა ვერ მიიღებს; მაგა-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლითად, ჩინეთი და არაბული სამყარო, სადაც მათი კალენდრების მომხმარებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს გრიგორიანული კალენდრის მიმდევრებს. და მაინც, რადგან აშშ და სხვა მრავალი წამყვანი სახელმწიფო იყენებს საერთაშორისოდ მიღებულ-აღიარებულ გრიგორიანულ კალენდარს, მისი „ხელყოფა“ არ ეგების.

მისტიკოსები თვლიან, რომ დროის აჩქარება, ადამიანის შემთხვევაში, სიცოცხლის შემოკლების, რაიმე სახის დეგრადაციის ხარჯზე ხდება. ვიცი, სადავოა, მაგრამ ვის შეუძლია დაბეჯითებით და დასაბუთებულად უარყოს, რომ დედამიწისთვის დროის აჩქარება უკვალოდ ჩაივლის? რამდენი ისეთი რამ არ სჯეროდა კაცობრიობას, რაც დღეს საბაზისო ცოდნაა?

იქნებ, რაღაც პროცესები დაწყებულია კიდეც. ჰოდა, მე ახლა ამ სენტეციას გთავაზობთ – „დროსთან თამაში სა-ხი-ფა-თო-ა!“

ისევ სულსწრაფობას მივუბრუნდები...

ჩემთვის ამერიკა სულსწრაფია-მეთქი, სათაურშივე აღვნიშნე. არადა, დასტურად მხოლოდ ორი მაგალითი მოვიყვანე. საქმე ისაა, რომ ისინი, განსაკუთრებით კი პირველი, სრულიად საკმარისი, მძიმეწონიანი არგუმენტებია, მათი ხვედრითი წილის გამო.

ამერიკის სულსწრაფობის ხსენებაზე, ვფიქრობ, საკუთარი მეხსიერება ყოველ თქვენგანს შემოგაშველებდათ ნიმუშებს, მაგრამ, მოდით, ისინი ერთი პრინციპით გავცხრილოთ: ზოგადადამიანური უარყოფითი თვისებები ყველა ერის და ქვეყნის ცალკეულ ადამიანს ჰქონდა, აქვს და ექნება. ამიტომ, ზოგადადამიანური თვისებების, მათ შორის, სულსწრაფობის კერძო შემთხვევებს ნუ განვაზოგადებთ და ნუ მივაწერთ ნურცერთ ერს და ნურცერთ სა-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ხელმწიფოს – მათ შორის, ნურც ამერიკის შეერთებულ შტატებს...

წყნარი ოკეანის შუაგულში ჩაკარგულმა კირიბატის რესპუბლიკამ მოახერხა და „ამერიკასაც გადაასწრო“ XXI საუკუნეში მოხვედრის პირველობის სურვილით. ჯერ კიდევ 1997 წლის ზაფხულში თავის ერთ-ერთ ატოლს – კაროლინას სახელი გადაარქვა და „ათასწლეულის კუნძული“ უწოდა.[8] ამ ქმედების ლეგალიზებისთვის, თარიღის ცვლის უხილავი ხაზიც[9] კი გადასწია თვითნებურად. იმავე საპატიო წოდებაზე პრეტენზია 1999 წლის მიწურულს უკვე კირიბატის მეზობლებმა – ტონგამ, ფიჯიმ და ახალზელანდიურმა ქალაქმა ჩეთამმაც გამოთქვეს.[10]

ისიც დამაფიქრებელია, თუ რა მიზნით მოხდა საუკუნეების განმავლობაში დაკანონებული და საერთაშორისო ნორმად ქცეული მოვლენის, „პროტოკოლის“ ხელყოფა. ჩადენილ ავანტურისტულ ქმედებას, მისი განმახორციელებლის სტატუსის გათვალისწინებით, განსხვავებული წონა და უარყოფითი გავლენის სხვადასხვა კოეფიციენტი აქვს. ამდენად, 100-ათასკაციანი კირიბატის რესპუბლიკისა და აშშ-ის ამბიციის შედეგები სხვადასხვა „წონით“ კატეგორიაში უნდა განვიხილოთ.

ცხადია, სულსწრაფობა ამერიკელთა (მხოლოდ!) ნაწილსაც, თითქმის, ისევე ახასიათებს, როგორც ნებისმიერი ერის (მხოლოდ!) ნაწილს, მცირეოდენი პროცენტული განსხვავებით. ცალკეული ინდივიდებისა თუ რომელიმე ნიშნით დატვირთული სუბკულტურის ხასიათში შენიშნული ერთ-ერთი ადამიანური თვისების, ამ შემთხვევაში – სულსწრაფობის მთელ ერზე თუ სახელმწიფოზე განზოგადება ნამდვილად ალოგიკური და თანაც, ძალზე უსამართლო იქნება. განზოგადება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც ხასიათის ესა თუ ის ადამიანური თვისება

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სახელმწიფოს ნებაშიცაა გამოხატული. ან კიდევ უფრო უარესი – როდესაც სახელმწიფოს ნება და ქმედება აცილებულიც კია საზოგადოების აზრს, როგორც ეს ათასწლეულის აღნიშვნის შემთხვევაში მოხდა.[11]

ათასწლეულის ნაადრევად, არასწორ დროს აღნიშვნის ფაქტი, არ და ვერ იქნებოდა უყურადღებობით დაშვებული შეცდომა და ამიტომ, მისი პოტენციური გავლენა მხოლოდ ეზოთერულ ჭრილში კი არა, მსოფლიო პოლიტიკის ჭრილშიც კი უნდა მოახდინონ იმ დიდმა და ძლიერმა სახელმწიფოებმა, რომელთაც ამისთვის სათანადო რესურსი გააჩნიათ.

ატომური ბომბის გამოყენების ისტორიაც ამავე კატეგორიიდანაა – უსწრაფესი შედეგი მიიღეს უსაშინელესი ტრაგედიის ხარჯზე. მაშინაც ვიღაცას სულმა წასძლია... და ისწრაფა. ამ სულსწრაფობას თავისი მიზეზი ჰქონდა. უმთავრესი საკვლევი საკითხი კი სწორედ მიზეზშია „ჩამარხული“. ასეთ შემთხვევას იდეალურად „ამართლებს“ ნიკოლო მაკიაველის ამორალური სენტენცია იმის შესახებ, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

იგივე ითქმის ახალი ათასწლეულის 365 დღით ადრე გადმოწევის თაობაზე. მისტერ პრეზიდენტის[12] სულსწრაფობაც გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული. მომდევნო 2000 წელი ხომ არჩევნებისა იყო. ამერიკელი პოლიტიკოსებისთვის ეს პერიოდი ლამის საკრალურია – ნახევარი წელიწადი მუხლჩაუხრელად შრომობენ, რომ გამარჯვება მათ პარტიასვე დარჩეს. ეს ნახევარწლიანი წინასაარჩევნო მარათონები ცხოვრების ჩვეულ რიტმს უმღვრევს რიგით მოქალაქეებს. ცხადზე უცხადესია, რომ კატასტროფულად დიდი თანხები იხარჯება, უფრო მეტი კი – დრო, რადგან ესაა ნახევარი წელი ოფიციალურად და ღიად, თორემ, ისე სულ წინასაარჩევნო პერიოდი უდ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გათ ყველა ჯურისა თუ რჯულის პოლიტიკოსებს. ალბათ, ისევე, როგორც მსოფლიოში ყველგან.

1999-ისა და 2000-ის მიჯნაზე განსაკუთრებით არეულიყო „ბანქოს სახლი“...[13] პირველი ლედი ჰილარი კლინტონი მისი პრეზიდენტი მეუღლის მიერ 1998 წელს შექმნილი ორგანიზაციის – თეთრი სახლის ათასწლეულის საბჭოს[14] თავმჯდომარედ დანიშნეს. თავისი ორწლიანი არსებობის განმავლობაში საბჭომ, რომლის დევიზად შეირჩა „წარსულის პატივისცემა და მომავლის დასახვა“,[15] მრავალი პროექტი განახორციელა მესამე ათასწლეულის აღნიშვნასთან დაკავშირებით.

60 ტელემაუწყებლისგან შექმნეს საერთაშორისო კონსორციუმი, რომელმაც მოამზადა 28-საათიანი სპეციალური პროგრამა «2000 Today»[16] და უზრუნველყო მისი ეთერში გაშვება. საერთო ჯამში, ეს გადაცემა 6 მლნ აშშ დოლარი დაჯდა და მასზე 5-ათასკაციანი გუნდი მუშაობდა.

ალტერნატიული 24-საათიანი საერთაშორისო პროგრამა «Millennium Live»-იც მომზადდა, რომელშიც 130 ერის წარმომადგენელს უნდა მიეღო მონაწილეობა,[17] მაგრამ დღესასწაულამდე ორიოდე დღით ადრე, 1999 წლის 28 დეკემბერს გააუქმეს.[18] მიზეზად საკმარისი ფინანსური მხარდაჭერის ვერმოპოვება დაასახელა ორგანიზატორმა (MTN).

ამერიკელი სტუდენტის დავალებებში შეაპარეს აბსურდული თემა – როგორ იცხოვრებდა მარსზე 30 წლის შემდეგ. მსგავს უაზრო პროექტებს დაახარჯეს ბლომად თანხები მაშინ, როცა „ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა... და დრო გადიოდა“.[19] პარადოქსს ისეთი პარადოქსი

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ცვლიდა, მიგელ დე უნამუნოსაც რომ ოხვრა აღმოხდებოდა, კომენტარის ნაცვლად.

ნაადრევი და მსოფლიო საზოგადოებისთვის თავსმოხვეული ზეიმიდან ერთი წლის თავზე, 2001-ის დადგომასთან ერთად „ნამდვილი ათასწლეულის“ დაწყება აღნიშნა ამერიკის ოფიციალურმა ქრონომეტრისტულმა დაწესებულებამ – აშშ-ის საზღვაო ობსერვატორიამ.[20] წინა წლის ზარზეიმისგან განსხვავებით, ნამდვილად მოკრძალებულად, მხოლოდ 3-ათასკაციანი წვეულებით დალოცეს ახალი საუკუნის შემობრძანება ვაშინგტონის შტაბბინაში შეკრებილმა ასტრონომებმა. მათემატიკური სიზუსტისადმი ერთგულება გამოიჩინა ამომავალი მზის ქვეყანამ – პედანტურობით ცნობილმა, ტექნოგიგანტმა იაპონიამაც.[21] ფიდელ კასტროს ხელში მუდამ გლობალური გეგმებისგან განყენებულად მდგომმა კუბამ ამჯერადაც საკუთარი არჩევანი გააკეთა და „ნამდვილ“ მესამე ათასწლეულს 2000 წლის 31 დეკემბერს შეეგება თავის კომუნისტ დიქტატორთან ერთად.[22]

ხშირად ამერიკელებზე არანაკლებ სულსწრაფი ქართველების ნაწილმა კი უჩვეულოდ დინჯად განსაჯა, როდესაც 2001 წლის 14 იანვრიდან „შეაბიჯა“ ახალ ათასწლეულში. სიონის საკათედრო ტაძარში გამართული საკვირაო ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მრევლს იუმორნარევი სიბრძნით მიმართა: „ახლა კი ნამდვილად ახალი წელია, ახალი საუკუნე, ახალი ათასწლეული. ამჯერად უკვე ვეღარავინ იტყვის, რომ ახალი წელი არ მოსულა. როგორც ახალი, ისე ძველი სტილით იგი უკვე დადგა. გილოცავთ მის შემობრძანებას!.. აუცილებელია სასოება, ანუ იმედი ღვთისა... უნდა მოხდეს სინერგია – ღვთის ლოცვა-კურთხევისა და ადამიანის ნებისყოფისა. ადამიანმა აუცილებ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლად უნდა იპოვოს და გააკეთოს თავისი გასაკეთებელი საქმე. საჭიროა ძიება... ღმერთმა დალოცოს საქართველო და მთელი ქვეყანა!“[23]

დრო არამატერიალურია და, ალბათ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანთა დიდ უმრავლესობას უჭირს იმის შეცნობა, რომ ისიც ენერგიაა. არადა, ხომ არსებობენ ენერგიები, რომლებიც წარმოუდგენლად რთულად აღსაქმელია ადამიანის გონებისთვის. ენერგიათა უმრავლესობა ადამიანისთვის უხილავია და მხოლოდ შედეგით შეიცნობა, როგორც „ყოველი ხე თავისი ნაყოფით“ (ლუკა, 6:44).

კოსმიური ენერგიების მოხმობაზე არანაკლებ ეფექტური, ალბათ, ანდამატის გახსენება იქნება... დრო კიდევ უფრო შეუცნობელი ფენომენია, ვიდრე ობიექტების უხილავი ენერგიები და, ჯერჯერობით მაინც, რთული მგონია იმის გააზრება, რა შეიძლება მოჰყვეს მისი შეკვეცის სიმბოლურ მცდელობას.

საინტერესოა, მსგავსი უზუსტობის გასწორება თუა შესაძლებელი? ბეჭდვითი პროდუქციის წინსწრებით დათარიღების პრაქტიკის შეცვლა, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალზე იოლია. რაც შეეხება 1999-სა და 2000-ის გზაგასაყარზე გამოვლენილ სულსწრაფობას, მისი კორექტირების შანსი ნაკლებსავარაუდოა.

დროით მანიპულირებიდან 100 წლის შემდეგ, არსებობის მაგიური, სპირალისებრი ციკლი, 2000 წლის პირველი იანვრის „პარალელურ წერტილს“ – 2100-ის პირველ იანვარს მიუახლოვდება. აი, მაშინ უნდა შეძლოს კაცობრიობამ, ლამაზი ზეიმით ცდუნებას ერთი წლით სძლიოს და 2101-ის 1 იანვრიდან დროის სწორ ორბიტას დაუბრუნდეს. ჯერ კი, ძველებურად სულსწრაფად მიიჩქარის ამერიკაც და დანარჩენი სამყაროც ჰორიზონტს მიღ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მა უხილავისკენ. კოსმოსური ტურისტები[24] აქტიურად ყიდულობენ ბილეთს უწონობაში მოსახვედრად. ძალზე ცოტა ფიქრობს დედამიწის კატასტროფულ მიუსაფრობაზე და ბევრს უცნაურად ეჩვენება ახალგაზრდა ბრიტანელი უფლისწულის კრიტიკა: ეგ ფული, რაკეტით გასეირნების ნაცვლად, მშობლიურ მიწას მოახმარეთო.[25]

ლიტერატურა ▫ References

1. ტერმინში „ამერიკა“ იგულისხმება აშშ (მ.მ.).
2. ჰომო საპიენსი (ლათ. Homo sapiens) – მოაზროვნე ადამიანი.
3. ჰომო მორალისი (ლათ. Homo moralis) – მორალური, მორალის მქონე, ზნეობრივი ადამიანი.
4. William J. Clinton Presidential Library (31 December 1999). *Opening of the "America's Millennium" Celebrations (1999)*, Uploaded by clintonlibrary42 on 7 December 2012 [youtube.com/watch?v=QkImuKZ9KKc].
5. *CNN: Millennium 2000*, Uploaded on 4 May 2017 by ricola2727 [youtube.com/watch?v=D2R--yH3OwY].
6. Nadare, Maia (2004). The Map of Georgia Kept in the Chest Pocket.Media and Political Image. Tbilisi: «Universal», pp. 140-142. // Nadare, Maia (1997, September 5). Jesus was born... before Christ. *Tbilisi* (Metropolitan Newspaper).
7. The editors of *Scientific American* (1999, December 20). *When is the beginning of the new millennium? Some say it is January 1, 2000 and others January 1, 2001? Who is correct?*, Scientific American.
8. *Kiribati's Caroline Island renamed Millennium Island* (1997, August 10). Pacific Islands Report, PACNEWS [pireport.org].
9. თარიღის ცვლის ხაზი (ინგლ. Date Line) – დედამიწის ზედაპირზე გატარებული პირობითი ხაზი, რომლის სხვადასხვა მხრიდან მიმდებარე ადგილებში საათების ჩვენება ერთმანეთს ემთხვევა, კალენდარული თარიღები კი ერთი დღეღამითაა განსხვავებული. იგი გავლებულია, უმეტესად, 180° გრძედის მერიდიანის გასწვრივ ისე, რომ დასახლებულ პუნქტს არ კვეთს [ქართული ენციკლოპედია (1979), ტომი IV, თბილისი, გვ. 589].

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

10. Harris, Aimee (Aug 1999). *Millennium: Date Line Politics*, Honolulu, p. 20.
11. Oldham, Kit (2019, October 1). *New millennium is heralded across Washington on January 1, 2000*, History Link.org
12. უილიამ ჯეფერსონ (ბილ) კლინტონი (William Jefferson "Bill" Clinton, დ. 1946) – აშშ-ის 42-ე პრეზიდენტი (1993-2001).
13. House of Cards (TV series 2013-2018, creator – Beau Willimon).
14. White House Millennium Council (1998, February 2). Executive Order 13072 by President of the United States, Signed by President William J. Clinton [presidency.ucsb.edu/documents/executive-order-13072-white-house-millennium-council].
15. Olson, Jeff (2001, January 1). Millennium Trails: "Honor the Past, Imagine the Future." *Joperd* (journal).
16. Wells, Matt (2000, January 3). BBC wins Big Ben ratings battle. *The Guardian*.
17. Schneider, Michael (1999, December 28). Pax's 'Live' for Y2K DOA: Spec pulled as coin falls through. *Variety* magazine.
18. Carman, John (30 December 1999), *Producers Cancel Global Millennium Telecast*, The San Francisco Chronicle, page E-4.
19. მაჭავარიანი მუხრან, ვითარცა მტკვარი (ლექსი) [poetry.ge].
20. Associated Press (2000, December 26). For the Chronologically Correct, Now It's Time for the Millennium. *The Los Angeles Times*.
21. Japanese purists prepare to welcome new millennium (2000, December 15). *Reuters News Service & Deseret News, Deseret*.
22. Ball, Ian in Miami and Philip Sherwell (2000, December 31). Castro hosts party for the 'true Millennium'. *The Telegraph*.
23. ილია II (14 იანვარი, 2001). საკვირაო ქადაგება, გაზ. „სა-პატრიარქოს უწყებანი" [patriarchate.ge/news/194].
24. *List of the first space tourists* (2010, February 5). Did you know? [didyouknow.org/lists/spacetourists].
25. Pheby, James, and Jitendra Joshi (2021, October 14), Prince William tells space tourists: fix Earth instead. *Phys.org*
26. Gould, Stephen Jay (2012). *Questioning the Millennium: A Rationalist's Guide to a Precisely Arbitrary Countdown*, 1st Kindle Edition, New York, NY: Harmony Books.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)